




საქართველოს 2025 წლის მშპ-ის პროგნოზი: ზრდა ვაჭრობის მატების, საკრედიტო ბუმისა და სარემონტო წნეხის ფონზე

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2025 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. აქ არის ამ თვის გამოშვების ძირითადი მიგნებები.

ძირითადი მიგნებები:

- საქსტატმა გამოაქვეყნა 2024 წლის დეკემბრის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი შეფასება, რომელიც 6.7%-ს შეადგენს. საშუალო წლიურმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ კი 9.5% შეადგინა.
- ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი პროგნოზირებს, რომ 2025 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 8.6%-ით, ხოლო მეორე კვარტალში 7.2%-ით გაიზრდება. თუმცა ეს პროგნოზი შესაძლოა გადაჭარბებულად აფასებდეს ზრდას, რადგან მიმდინარე პოლიტიკური დამაბულობა ჯერ არ არის სრულად ასახული მონაცემებში. მოდელი ეყრდნობა მონაცემებს 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს პოლიტიკური კრიზისის მხოლოდ პირველ ორ თვეს.
- დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2025 წელს ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია 4.1%-იანი ზრდა, ხოლო საუკეთესო ან საშუალო გრძელვადიანი ზრდის



სცენარის შემთხვევაში – 6.8%. ჩვენი შუალედური პროგნოზის თანახმად (უკანასკნელი ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე დაყრდნობით), მოსალოდნელია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდა 5.9%-ით.

დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით მშპ-ს ზრდის პროგნოზზე მოქმედი ცვლადები:

ეროვნული და უცხოური ვალუტის დეპოზიტები. პროგნოზზე ზომიერი გავლენის მქონე ცვლადების პირველი ჯგუფი უკავშირდება კომერციულ ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის დეპოზიტებს. ეროვნული ვალუტის დეპოზიტების თითქმის ყველა ძირითადმა კატეგორიამ წლიური ზრდა აჩვენა. კერძოდ, ეროვნული ვალუტის მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიურად 1%-ით გაიზარდა, ხოლო ვადიანი დეპოზიტები – წლიურად 37.6%-ით. შედეგად, ეროვნული ვალუტის მთლიანი დეპოზიტები წლიურად 10.4%-ით გაიზარდა. *ამავე დროს, მიმდინარე ანგარიში წლიურად 16%-ით შემცირდა.*

უცხოური ვალუტის მთლიანი დეპოზიტები წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 20.7%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში, უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები წლიურად 14.3%-ით გაიზარდა, მოთხოვნამდე დეპოზიტები – წლიურად 10.1%-ით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი წლიური ზრდა აჩვენა უცხოური ვალუტის ვადიანმა დეპოზიტებმაც – 35.4%. *თუმცა, ჩვენი მოდელის მიხედვით, უცხოური ვალუტის დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს მაინც უარყოფითი წვლილი ჰქონდათ რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*

სასაქონლო ვაჭრობა. დეკემბერში საქართველოს ექსპორტმა წლიური 6.9%-იანი ზრდა აჩვენა. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ავტომობილების ექსპორტის/რეექსპორტის (16%-იანი წლიური ზრდა), არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორებისა და სხვა სპირტიანი სასმელების (10%-იანი წლიური ზრდა) და წყლების, ბუნებრივი ან ხელოვნური მინერალური და გაზიანი წყლების, შაქრის დამატების გარეშე (47%-იანი წლიური ზრდა) ზრდით.

ამავე პერიოდში, საქონლის იმპორტი წლიურად 20.9%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო ხელით შესრულებული ნახატების, ნახაზებისა და პასტელების (2,004,058%-იანი წლიური ზრდა), ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (33%-იანი წლიური ზრდა) და ნავთობის აირებისა და სხვა გაზისებრი ნახშირწყალბადების (9%-იანი წლიური ზრდა) იმპორტის/რეიმიპორტის წლიური ზრდით. **შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 45%-ით გაიზარდა და 1,106 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა** (სავაჭრო დეფიციტის ზრდა ძირითადად განპირობებულია ხელით შესრულებული ნახატების, ნახაზებისა და პასტელების ერთჯერადი იმპორტით, ეფექტი, რომლის გაგრძელებაც მოსალოდნელი არ არის). მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა უარყოფითი გავლენა იქონია მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

ოფიციალური სარეზერვო აქტივები: დეკემბერში ოფიციალური სარეზერვო აქტივები წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 11.2%-ით შემცირდა, მაგრამ თვიურად 7.9%-იანი ზრდა დაფიქსირდა. სარეზერვო აქტივები წარმოადგენს მნიშვნელოვან ბუფერს გარე შოკებისთვის და მნიშვნელოვან როლს



ასრულებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. მათი შემცირება არა მხოლოდ ასახავს გარე მოწყვლადობის მიმართ გამკლავების შემცირებულ შესაძლებლობას, არამედ შესაძლოა მიუთითებდეს ინვესტორთა ნდობის შესუსტებაზე ან საგადასახდელო ბალანსის დინამიკის მართვის გამოწვევებზე, რაც ხელს უწყობს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე დადმავალ წნეხს.

სამომხმარებლო კრედიტი. დეკემბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტის მთლიანი მოცულობა წლიურად 24.5%-ით გაიზარდა, რაც მყარ საკრედიტო აქტივობას ასახავს. მოკლევადიანი სამომხმარებლო კრედიტი წლიურად მკვეთრად – 58.8%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო როგორც ეროვნული (31.8%), ისე უცხოური ვალუტის (129.5%) სესხების მნიშვნელოვანი ზრდით. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გაცემული გრძელვადიანი სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა წლიურად 23.5%-ით გაიზარდა. სამომხმარებლო კრედიტის აქტივობის ეს ზრდა მიუთითებს სესხების აღებისა და ხარჯვის უფრო მაღალ შესაძლებლობაზე, რამაც ხელი შეუწყო შიდა მოთხოვნას და ნაწილობრივ გააბათილა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მოქმედი ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორი.

ინფლაცია. დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2% იყო, რაც მიზნობრივ 3%-ზე მნიშვნელოვნად დაბალია. საერთაშორისო სასაქონლო ფასების სტაბილურობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციური წნეხის შემცირებაში. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია თანდათანობით დაუბრუნდება საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნავთობის ფასები მსოფლიო ბაზარზე (Euro Brent Spot Price) წლიურად 4.9%-ით შემცირდა. მთლიანობაში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდათ მშპ-ის პროგნოზზე.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.